კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ	
სეგმენტი	**მოსწავლეები**
კლას(ებ)ი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	VII, VIII, IX, X
მხატვრული ნაწარმოები (დასახელება, ავტორი), რომელიც განიხილეთ მოსწავლეებთან ერთად	ილია ჭავჭავაძის ,,კაცია-ადამიანი?!''
ფინანსური განათლების თემები, რომლებიც განიხილეთ აქტივობის ჭრილში *(მაგალითად, დაზოგვა, ბიუჯეტირება, დაზღვევა. თემებზე დეტალური ინფორმაციისთვის ეწვიეთ ფინედუს ვებგვერდს)*	• პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით), • დაგროვება, • ქველმოქმედება, • ინვესტიცია.
სწავლების მეთოდ(ებ)ი, რომელიც გამოიყენეთ ლიტერატურის განხილვისას. ახსენით რატომ შეარჩიეთ ეს მეთოდები *(მაგალითად, კეთებითი სწავლება, შემთხვევების განხილვა, დისკუსია, როლური თამაში და სხვა)*	**დისკუსია** – მოგეხსენებათ აღნიშნული მეთოდი ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია, რომელიც მკვეთრად ამაღლებს მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია მათ უვითარებს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. (აღნიაშნული მეთოდი გამოვიყენეთ ლიტერატურის შერჩევისას, მოსწავლეები დისკუსიის შეჯამებით შეთანხმდნენ, რომ ი.ჭავჭავაძის ნაწარმოებში ,,კაცია-ადამიანი?!'' აშკარა იყო ფინანსური უნარ-ჩვევების არქონის პრობლემები და ძალიან საინტერესო იქნებოდა კონკურსის ფარგლებში განსახილველად). **ჯგუფური მუშაობა** – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობსმოსწავლეთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია

	უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. (აღნიშნული მეთოდი გამოვიყენეთ მრავალფეროვანი აქტივობებისა და შესაბამისი პროდუქტების შესასრულებლად). **ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება მოსწავლეების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება. (აღნიშნული მეთოდი გამოვიყენეთ ნაწარმოების განხილვისას, სადაც მოსწავლეები ეტაპობრივად აღმოაჩენდნენ ფინანსურ პრობლემებს და მის გამოსასწორებლად ატარებდნენ შესაბამის ღონისძიებებს). **შემთხვევების შესწავლა** – მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. (აღნიშნული მეთოდით შევისწავლეთ თათქარიძეების გაპარტახებული კარ-მიდამოს (მიუხედავად მათი ფინანსური შესაძლებლობისა) პრობლემები. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. (აღნიშნული მეთოდი გამოვიყენეთ მრავალფეროვანი პროდუქტისა და ვიზუალური თვალსაჩინოების შესაქმნელად, რათა უფრო აშკარა გამხდარიყო, როგორც ფინანსური პრობლემები, ასევე მათი გამოსწორების გზები) **კეთებითი სწავლება** - აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც მოსწავლეებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში მოსწავლე შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას. (აღნიშნული მეთოდი გამოვიყენეთ დროში სამოგზაუროდ, რათა მოსწავლეები უკეთ გაცნობოდნენ და გაეაზრებინათ ფინანსური პრობლემები, რომელსაც გაითვალისწინებდნენ სამომავლოდ).
აქტივობის აღწერა *(აღწერეთ სრული შეხვედრის მეთოდური ნაწილი: როგორ წარიმართა შეხვედრა, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილეთ მხატვრული ნაწარმოები, რა მეთოდები გამოიყენეთ და როგორ დაუკავშირეთ ფინანსურ განათლებას. მიუთითეთ ჩატარებული აქტივობის ხანგრძლივობა)*	2024 წლის მაისში VII-X კლასის მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით მიმდინარეობდა ორ კვირიანი პროექტი ,,ასწავლე სწორი ფინანსური ცხოვრება თათქარიძეებს''. უპირველეს ყოვლისა სამოქალაქო განათლების მასწავლებლის ნინო კახნიაშვილის მიერ მოსწავლეთა შეკრება და კონკურსის შესახებ ინფორმაციის გაცნობა. წარიმართა დისკუსია, თუ რომელი ნაწარმოები შეიძლებოდა განხილულიყო აღნიშნული კონკურსის ფარგლებში. იდეები ძალიან ბევრი იყო: მ. ჯავახიშვილის ,,ჯაყოს ხიზნები'', ი.ჭავჭავაძის ,,ოთარაანთ ქვრივი'', ნ. დუმბაძის ,,დიდრო'' და მრავალი სხვა. მოსწავლეები არგუმენტირებულად ასაბუთებდნენ, თუ რომელი ნაწარმოები რა კუთხით შეესაბამებოდა ფინანსურ განათლებას. დისკუსია შევაჯამეთ პრესის მეთოდით და მოსწავლეები შეთანხმდნენ, რომ კრიტიკულმა რეალიზმმა, მე-19 საუკუნეში ყველაზე ღრმად და ცხოვლად ასახა იმ დროის ეროვნული სინამდვილე თუ თავად-აზნაურთა სიზარმაცით გამოწვეული ფინანსური სავალალო შედეგები. სწორედ ამიტომ აღნიშნული

	პროექტისათვის შევარჩიეთ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოები ,,კაცია-ადამიანი?!'', სადაც მთავარი სიუჟეტი ვითარდება ლუარსაბისა და დარეჯანის ირგვლივ. მოთხრობის მიხედვით განვიხილეთ შემდეგი თემები: • პირადი ფინანსების მართვა (საჭიროება და სურვილი, პრიორიტეტების დალაგება შესაძლებლობების მიხედვით), • დაგროვება, • ქველმოქმედება, • ინვესტიცია. სიზარმაცის ნაირსახეობას, ცრუსაქმიანობასა თუ ცრუაქტიურობში ლუარსაბისა და დარეჯანს ტოლი არ ჰყავთ, რომლის შედეგიც ნათელია. ამას მოწმობს თათქარიძეების სახლ-კარი. დახატულია სრული გაპარტახებისა და ნგრევის სურათი. ფინანსური პრობლემები ცოლ-ქმარს თითქოს არ ჰქონდათ, თუმცა გონივრული მოხმარებისა და ფინანსური უნარ-ჩვევების, ქონების განკარგვის არ ცოდნამ ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი უბადრუკი გახადა, რომლის ხილვა ყოველ ნორმალურ ადამიანში ერთ ჟინს უნდა იწვევდეს: აიმაღლოს ფინანსური წიგნიერების დონე, დაიკაპიწოს ხელები და თავდაუზოგავად იშრომოს. პროექტის მიზნად სწორედ ამიტომ დავისახეთ ფინანსური საკითხების ცოდნის ამაღლება, სწორი ქცევების წახალისება, გონივრული დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, ლუარსაბისა და დარეჯანის ფინანსური პრობლემების შესწავლა და მათი გამოსწორება. მოსწავლეებმა თავების მიხედვით დაინაწილეს ნაწარმოები და წარმოადგინეს პრეზენტაციები, თუ რომელ თავში, რა ფინანსურ პრობლემებს აწყდებოდნენ. ლუარსაბისა და დარეჯანის არაჯანსაღი ფინანსური ცხოვრების მკაფიო სურათიც წარმოაჩინეს: რამდენი იწვალეს, რამდენი ილოცეს, როგორ არ შეაწუხეს ღმერთი, მაგრამ არ და არ შეეძინათ შვილი. რომ არ ამდენი წოლა და უქმად ყოფნა, იქნებ თავი უფრო მსუბუქად ეგრძნოთ, იქნებ დასუსტებულიყვნენ კიდეც და შვილიც ჰყოლოდათ. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის ქვეყნის სიცოცხლისა და ღონის მიმცემი“ - ეს არის ილიას მთელი შემოქმედების მთავარი სათქმელი. სწორედ ამ მოძრაობისა და მოქმედებების ხარჯზე პროექტის ფარგლებში დაისახა პრობლემაზე ორიენტირებული ამოცანები და მისი შესაბამისი აქტივობები. მოხდა მოსწავლეთა ჯგუფებად დაკომპლექტება და მათთვის სამუშაოების გადანაწილება. პრობლემების გამოსასწორებლად პირველი ნაბიჯის მიხედვით მოსწავლეებმა შექმნეს გადაშლილი წიგნის ,,კაცია-ადამიანი?!'' მაკეტი, რომელიც იდეურად იყო შემდეგი შინაარსის მატარებელი: მოსწავლეებმა განიხილეს წიგნის შინაარსი და აღმოაჩინეს ლუარსაბისა და დარეჯანის ირგვლივ არსებული ფინანსური პრობლემები, კონკრეტულად არაგონივრული ხარჯვა და ქონების განკარგვის არცოდნა.

	დაიწყეს ამ პრობლემის გამოსწორებაზე ზრუნვა. გაჩნდა იდეა, შეექმნათ დროის მანქანა და ემოგზაურათ მე-19 საუკუნეში. ჯგუფური მუშაობის, მაღალი თანამშრომლობითი კულტურისა და გააზრებული პასუხისმგებლობის შედეგად შექმნეს მათი ხედვით ორიგინალური დროის მანქანა და რამდენიმე გმირი მოემზადა დროში სამოგზაუროდ (ლუარსაბთან და დარეჯანთან მე-19 საუკუნეში წასასვლელად). შესაბამისად შექმნეს დროში მოგზაურთა გმირების ეკო თოჯინები. დროში მოგზაურებმა თან წაიღეს უამრავი გზავნილი თანატოლებისაგან (პოსტერები, კომიქსები, წერილები, ხელნაკეთი წიგნები, ნახატები და სხვა). მოსწავლეთა მიერ შექმნილ პროდუქტებში (გზავნილებში) დეტალურად იყო აღწერილი, თუ რა შეცდომებს უშვებდნენ ლუარსაბი და დარეჯანი პირადი ფინანსების მართვასა და ქონების განკარგვაში, ასევე ისინი მათ აძლევდნენ ფინანსურ რჩევებს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ გონივრულად, რათა ცხოვრება წარემართათ ფინანსური სარგებელით, გაეკეთებინათ ინვესტიცია, ქველმოქმედება და ეცხოვრათ გაცილებით უკეთ. ერთ-ერთმა მოსწავლემ თათქარიძეებთან მისვლამდე, ოთარაანთ ქვრივის - გიორგის მონახულება გადაწყვიტა, რომელმაც ამ უკანასკნელისაგან ლუარსაბს წამოუღო წერილი, რომელშიც ლუარსაბს მოუწოდებს, რომ მიუხედავად მათი მომჭინე ცხოვრებისა, ოთარაანთ ქვრივს, შეუძლია ფინანსების სწორი მართვა. უფრო მეტიც, ის იმდენად გონივრული მხარჯველია რომ დანაზოგსაც კი აკეთებს. ასეთი პრაქტიკული რჩევებით მოუწოდებს გიორგი ლუარსაბს ქონების გონივრული და ყაირათიანი მოხმარებისაკენ. თათქარიძეების იმპროვიზებულ ჰეფიენდს მოსწავლეებმა მიუძღვნეს ხელნაკეთი ნახატების წიგნი, რომელთა ილუსტრაციებზე დეტალურადაა აღწერილი სწორი ფინანსური ქცევებისა თუ უნარ-ჩვევების გამომუშავებით ლუარსაბისა და დარეჯანის შეცვლილი ცხოვრება ფინანსური სარგებლის მიღების კუთხით (გალამაზებული კარ-მიდამო, საქველმოქმედოდ გახსნილი საკვირაო სკოლა, მოგების მიზნით შექმნილი ,,თათქარიძეების რანჩო'' თუ ღვთის დიდი საჩუქარი - შვილი), ასევე შეჰქმნეს მათივე რჩევების შედეგად ლუარსაბის მიერ წარმოებული ღვინის ბოთლის მაკეტი და სხვა. რაც მთავარია პროექტი წარიმართა საინტერესოდ, მიზანი იქნა მიღწეული და შედეგად დაგვრჩა მრავალფეროვანი თვალსაჩინოება, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ფინანსური წიგნიერების სწავლა-სწავლების პროცესში.

კონკურსის „ასწავლე ფინანსები ლიტერატურით“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	პროექტის შედეგად მოსწავლეებმა შეძლეს • ი.ჭავჭავაძის ნაწარმოებში ,,კაცია-ადამიანი?!“ აღმოეჩინათ ფინანსური პრობლემები; • მოძებნეს პრობლემის გამოსასწორებელი გზების მოძებნა; • ლუარსაბსა და დარეჯანს მისცეს სწორი ფინანსური რჩევები; • წარმოსახვაში განავითარეს ლუარსაბისა და დარეჯანის მომავალი ცხოვრება სწორი ფინანსური ქცევების ხარჯზე; • შექმნეს მრავალფეროვანი პროდუქტი/რესურსი, რომლის გამოყენებაც შეიძლება სამომავლოდ ფინანსური წიგნიერების სწავლების მიმართულებით; • საკუთარი გამოცდილება გასაზიარებლად გაიტანეს სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ოტია იოსელიანის N 1 საჯარო სკოლის მიერ ორგანიზებულ ეროვნულ მოსწავლეთა კონფერენციაზე.